

თემზე დაფუძნებული მობილური სერვისის როლი დეპრესიისა და მარტოობის
განცდაში შიზოფრენიით დაავადებულ პირებთან

ნათია ტაბიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - თემზე დაფუძნებული მობილური სერვისის როლი დეპრესიისა და მარტოობის განცდაში შიზოფრენიით დაავადებულ პირებთან - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ტაბიძე

26.06.2019

აბსტრაქტი

ყოველწლიურად ფსიქიკურ დარღვევათა ნოზოლოგიების რიცხვი იზრდება. მსოფლიოში 970 მილიონ ადამიანს მენტალური ან ნივთიერების მიღებით გამოწვეული პრობლემები აქვს. აქედან 20 მილიონს შიზოფრენიის დიაგნოზი, ხოლო 264 მილიონს დეპრესიის დიაგნოზი აქვს (Institute of Health Metrics & Evaluation (IHME), 2017). მზარდი სტატისტიკა ხაზს უსვამს საკითხის აქტუალობას და მეტყველებს ფსიქიკური აშლილობით დაავადებული პირების პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის მნიშვნელოვნებაზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე მიდგომებიდან ერთ-ერთი აქტუალურია თემზე დაფუძნებული მობილური სერვისი, რომელიც კვლევების მიხედვით დადგენილია, რომ ხელს უწყობს პაციენტთა ინტერგრირებას საზოგადოებაში, სტაციონირების რიცხვის შემცირებას და მკურნალობის შედეგად ხანგრძლივ რემისიას. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს დეპრესიისა და მარტობის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით დადგინდეს განსხვავება ამბულატორიულ, სტაციონარულ და მობილური სერვისით მოსარგებლე პაციენტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე 90-მა პაციენტმა. აქედან 30 ამბულატორიული სერვისით, 30 - სტაციონარული სერვისით, ხოლო 30 - მობილური სერვისით მოსარგებლემ. კვლევის ფარგლებში, ბეკის დეპრესიისა და მარტობის საკვლევი კითხვარებით დადგინდა შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე პირთა დეპრესიისა და მარტობის საშუალო მაჩვენებლები და სერვისის მიწოდების თვალსაზრისით არსებული საშუალო ქულათა განსხვავებები. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ სათემო სერვისში ჩართულ პირთა დეპრესიისა და მარტობის საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განხვავდება ამბულატორიისა და სტაციონარის პაციენტების საშუალო ქულებთან შედარებით. სქესის მიხედვით საშუალოთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა. რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, ცალკეულ კატეგორიებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი განსხვავებები. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თემზე დაფუძნებული მობილური სერვისი დადებით როლს თამაშობს დეპრესიისა და მარტობის განცდის შემცირების თვალსაზრისით. მხარდამჭერი გარემო, ინსტიტუციას გარეთ მიღებული მომსახურება, შესაძლოა, ამცირებდეს მარტობის განცდას და დეპრესიული სიმპტომატიკის გამოვლენას, რაც ხშირ შემთხვევაში გახანგრძლივებული მარტობის თანმდევი ან შიზოფრენიის კომორბიდული მდგომარეობაა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქიკური დარღვევები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, თემზე დაფუძნებული მობილური სერვისი, შიზოფრენია, დეპრესია, მარტობა.

Abstract

The number of mental disorders and nosologies increase every year. About 970 million people in the world have a mental disorder or the problem caused by getting substances. 20 million people from them have schizophrenia diagnosis and 264 million people have depression (Institute of Health Metrics & Evaluation (IHME), 2017). Prospective statistics emphasizes the importance of issue of mental illness and it also reflects the necessity of studying the problem. One of the pressing questions from modern mental health is a community based mental health mobile service. According to research it encourages patients to intergrate into the social life, to reduce the number of hospitalization and as a result of treatment long-term remission. The aim of this research is to show the difference between patients using ambulatory, hospital and mobile services. 90 patient with schizophrenia diagnosis took part in this research. 30 of them using ambulatory service, 30 - hospital

service and 30 of them using mobile service. The questionnaring of Beck Depression Inventory and Revised UCLA Loneliness Scale, revealed an average index of loneliness and depression and statistical counting with SPSS revealed differences in avarege points in delivering services. The research revealed the mean indicator of depression and loneliness of patients involved in community based mental health treatment is significantly different than the ambulatory and hospital patients avarege point. Accoring to gender, statistically signficance difference isn't revealed, as for the age-related sharing statictically signficance difference is revealed in some groups. On the basis of obtained results we can assume that community based mental health mobile service plays possitive role in the issue of depression and loneliness. Supportive environment, the service received out of the institution may reduce the feeling of loneliness and revealitation of depressive symptoms which in most cases is concominant phenomena of prolonged loneliness or the comorbid condition of schizophrenia.

Key words: mental disorders, mental health, community based mobile service, schizophrenia, depression, loneliness.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის პროფესორ ნატა მეფარიშვილს, იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რითიც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო შპს. „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს“ კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.